

Pr



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 669

თბილისი

20 08 2010წ.

შპს „სამედიცინო კოლეჯის მედეა XXI-ის“  
ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის, მე-13 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნას ცვლილება 1992 წლის 02 ივლისს გაცემულ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის № 01-17-08/846 ლიცენზიაში და ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის სახელწოდების ცვლილების თაობაზე უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში (რეესტრის №476) ჩაიწეროს შემდეგი შინაარსის ტექსტი:

„2002 წლის 30 დეკემბრიდან შპს „სამედიცინო კოლეჯს მედეა XXI-ს“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „ქუთაისის სამედიცინო ინსტიტუტი „ქუთაისი“ სამედიცინო კოლეჯი“;

2. დაევალოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს, ბრძანების დაინტერესებული პირისთვის გაცნობა კანონით დადგენილი წესით;

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;



4. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



დimitრი შაშკინი